



საქართველოს
საქართველოს ენციკლოპედია

სამართლებრივ სსრ წიგნის გერმანულ-საქართველო
ენციკლოპედიაში სპეციალური

1500 წლის ქართული ქველი

ჩტოვტა ჩტოვტ ყოფტჩნნსა თოფფუნსა



თბილისი — 1978

იქ ჩხლ ქაიოფის ოქსი

„წამება წმიდისა შუშანიკისი დედოფლისა“



ართულ მწერლობას აქვს თხოთმეტ-საუკუნოვანი ისტორია. ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული ლიტერატურული ძეგლია იაკობ ხუცესის „წამება წმიდისა შუშანიკისი დედოფლისა“, დაწერილი 476—483 წლებში შუშანიკის უახლოესი პირის, წამების დამსწრისა და მხილველის მიერ. ავტორი თავისთვის იხსენებს იაკობის სახელით. ის სახახლას კარის ხუცესი ყოფილა; ბიოგრაფიული ცნობები არ მოგვეპოვება.

შუშანიკი, „მოშიში ღმრთისა სიყრმითგანვე თვისით“, იყო სომეხთა მხედართმთავრის ვარდან მამიკონიანის ასული; ცოლად შეეგდა ქართლის პატიახშს, ვარსკენ არშუშაის ძეს, ცურტავის განმკებელს. შუშანიკსა და ვარსკენს ოთხი შვილი შეეავლით.

პეროზის მეფობის მერვე (ანუ 467) წელს ვარსკენი გაემგზავრა სპარსეთს, უარყო ქრისტიანობა, მიიღო ცეცხლთაყვანისმცემლობა, შეიკრ ცოლად შეირთო სპარსთა მეფის ასული და გაემოგზავრა ქართლში. შუშანიკ დედოფალმა რომ შეიტყო ქმრის დაღატი და სარწმუნოების უარყოფა, წავიდა სასახლიდან და ეკლესიის მახლობლად ერთ სახლაკში დაბინავდა. ვარსკენმა ცოლს უბრძანა, რომ ოჯახში დაბრუნებულიყო, მაგრამ შუშანიკი შეუღლეს არც შეურიგდა და არც მის მრისხანებას შეუშინდა. ვარსკენმა ცოლს რადენჯერმე

წ. ყველჩარ:



შუშანიკ დედოფალი (XVIII ს. ფრაგმენტი მინიატურა)

ხცემა უწყალოდ, ფეხსიშველი მეძვებზეც კი ათრია, ხოლო მისი ნებისყოფა რომ ვერ გატკბა, დაღვებმა დაამწყვდია სამუდამოდ.

შუშანიკი ფიზიკურ ტანჯვასა და შეურაცხყოფას დიდხანს უდრტკინველად იტანდა, თავს ღლიცვით ინუგეგმებდა; კითხულობდა სახარებას,




შუშანიკი დედოფალი (XIX ს. მხატვრული პორტრეტი)

მოწამეთა წიგნებსა და ზეპირად სწავლობდა ფსალმუნებს. მტკიცე ხარწმუნოებრივი ერთგულებითა და პატრიოტული განწყობილებით მან სახელი გაითქვა — მოიპოვა ხალხის თანაგრძნობა. ეკესი წლის პატარობის შემდეგ, ნაგვემ-ნაწამებო შუშანიკი გარდაიცვალა 475 წლის 17


ოქტომბერს. ქართულმა ეკლესიამ იგი უმადანად შერაცხა.

„შუშანიკის წამება“ დაუცავთ გეიანდელ (XV-XVIII სს.) ქართულ ხელნაწერებს. იგი პირველად 1882 წელს გამოიცა; მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტები გამოაქვეყნეს ხ. გორგაძემ (1917) და ილია აბულაძემ (1938, 1963). თხზულება თიარკმნა რუსულ და დახვეული ევროპის ენებზეც. ის ყველმხრავ შეისწავლეს ქართველმა მეცნიერებმა, გამოიკვლიეს მისი ისტორიულ-ლიტერატურული ღირებულება და კულტურული მნიშვნელობა; ზუსტად დაადგინეს დაწერის თარიღი, ავტორის ვინაობა, სოციალური გარემო, მხატვრული მხარე. შესანიშნავი ნარკვევები უძღვნეს მას აკადემიკოსებმა ივანე ჯავახიშვილმა, კონრედი კეკელიძემ და პროფესორმა ილია აბულაძემ. აი, რას წერენ ისინი:

„იაკობ სუცესის ნაწარმოებში, როგორც თა-



ნამედროვის მიერ დაწერილს თხზულებას შექმენის, მამინდელი საქართველოს შინაური თუ საზოგადო ყოფი-ცხოვრების და ზნე-ჩვეულების შესახებ მრავალი საუცხოო ცნობა მოიპოვება, რომელნიც მოელს მოთხრობაში იხე ბუნებრივად არის ჩაქსოვილი, ისე უშუალოდ თან ხდევინ ამბავის მიმდინარეობას, რომ მკითხველს თვალწინ



ივან ჯავახიშვილი
(1876-1940)



კონრად კიკვიძე
(1879-1962)

მამინდელი ცხოვრების ცოცხალი, მხატვრული სურათი ეშლება. ასე სრულად და ცხოვრებად მამინდელი საქართველოს ყოფა-ცხოვრების აღწერა მხოლოდ თანამედროვეს შეეძლო და იაკობ ხუცესის ყოველ ცნობას თანამედროვეობის ბეჭედი ცხადად აზის კიდევ... „შუშანიას წამება“-ში განსაკუთრებით საყურადღებოა სწორედ ის გულწრფელობა, უშუალობა და ბუნებრივობა, რომლითაც იაკობ ხუცესის მოთხრობის კალა გამსჭვება. თვითვან ბოლოდას. ამის წყალობით იქ მამინდელი ყოფა-ცხოვრება მთელის თავისის დარსება-ნაკლოვანებით გვეხატება და არც ერთსეულ ყაღმა და განზრას თუ უნებღიედ გასვი-ღებული და დაუჯერებელი სულაერი მდგომარეობის აღწერალობა არ გვეხდება“ (ივან ჯავახიშვილი).

„შუშანიას წამებაში“ იაკობ ხუცესს „წარმოუდგენია ცოცხალი სურათი ჩვენი ყოფა-ცხოვრებისა, ჩვენი უძველესი კულტურულ-სარწმუნოებრივი ვითარება, სოციალურ-პოლიტიკური წყობილება, საეკლესიო ორგანიზაცია და კერძო საოჯახო ცხოვრება... მისი შრომა არ ეტყვა ხაეკლესით მიზნით დაწერილი, ისიც ავიოგრაფიული თხზულების ჩარჩოებში და წმინდა ისტორიულ-ბელეტრისტიკული პროზის ხასიათი აქვს. კილო მოთხრობისა გამსჭვალულია თავიდან ბო-

ლომდე გულწრფელობით, უშუალობით და ბუნებრივობით. ავტორი ერთხანია მხოლოდმლობით ვეცხატავს ჩვენ დადებითსა და უარყოფითს... მოთხრობის ბუნებრივი მიმდინარეობა, რომელმაც არ იცის არც თემისაზან მოულოდნელი გადასვლა ავითარაფიული ჟანრის თხზულებების, არც ვრძელი ტრაფარეტული ლოცვები და ხასწაულია აღწერლობისანი, დრმა ფსიქოლოგიური ანალიზი და მოხდენილი, ლაკონური ენა თხრობისა მძევანებს ავტორის უღავო ლიტერატურულ უნარიანობისა და მხატვრულ გემოვნებას“ (კ. კიკვიძე).

ჩვენამდე მოღწეულია „შუშანიას წამების“ ოთხი ძველი რედაქცია: ორი (ვრცელი და შოკელი) — ძველქართულია, ორიც (ვრცელი და მოკელი) — ძველსომხურიად. მათ შორის პირველია იაკობ ხუცესის თხზულება — ვრცელი ქართული რედაქცია, დანარჩენი სამი რედაქცია გვიანდელი წარმოშობისა და უშუალოდ თუ შუალობით დამოკიდებული პირველზე. ეს ფაქტი მყარად დადგენილია იმ ქართველ მეცნიერთაგან, რომელთაც ერთმანეთს შეუპირისპირეს ქართული და სომხური ტექსტები. ა. ჯავახიშვილისა და ილ. აბულაძის მოხაზრებით, თუ სომხურ ვრცელ რედაქციას ეტყობა „შემრინდელი გადანაკეთების“ აშკარა კვალი და ის „დღედობას ვერას გზით

ვერ დაიწმებს“, ან მტკაფრასული ხასიათისა და „ამენობას [პარველალობას] ვერ დაიწმებს“, ძველსომხური სუცის „შუშანიას წამება“ ატარებს უმეტესწილად რევეობის ყველა ნიშან-თვისებას. რაკი იგი უძველესი ქართული მხატვრულ-ავთოგრაფიული ძველია, მამხსადმე, მისი ლიტერატურული მნიშვნელობა დიდია არა მარტო V საუკუნის საქართველოს პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების და ხარწმუნოებრივი პრობლის შესახებ ვეღად, არამედ ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობის გასათვალისწინებლადც. „შუშანიას წამება“ ქართული მწერლობის მშეენება. იგი ძველი ქართული პროზის ბრწყინვალე ნიმუშია; მდიდარია უტყუარი ხისტორიო ფაქტებით, საუცხოოა თხრობის ლაკონიურობითა და რეალური მხატვრული პასხეებით.

„შუშანიას წამება“ ჭეშმარიტი მაცნეა იმისა, რომ ქართულ მწერლობას V საუკურმდე არსებობის ხანგრძლივი ისტორია ჰქონია.

1500 лет грузинскому памятнику
«МУЧЕНИЧЕСТВО ШУШАНИКИ»
(на грузинском языке)

შემდგენელი პროფ. ი. ლილაშვილი
მხატვარი შ. ნოდინაძე
მუხუხმშეგებელი გამოკვებისათვის
X. ლ(1935)3010

გაზეფი ახაწომად 23/IV-78 წ.
სელზოწერილია დასაბჭვად 5/VI-78 წ.
პირიბოთი ნახვჯი თახსი 0,4
სააღრავებო-საგომოწმული თახსი 0,17
უი 08608 შუკეთა 1266 ტარაფი 10 000
ფხო 15 კაბ.

საქართველოს სსრ წიფის მოყვარულია ნებყოფლობითა სასოფლოვანო რესპუბლიკური გამკეობა რუსთაველის გამზ. № 42
Республиканское правление Добровольного общества любителей книги Грузинской ССР
Тбилиси, просп. Руставели № 42
საქართველოს სსრ გამსაქომის ფრადი ბჭვების სტამბა თბილისი, პლ. სურსთკას გამზ. № 50
Типография шрифтовой печати Госкомиздата Грузинской ССР
Тбилиси, просп. Плетанова № 50